ლ. ვაშაკიძე მ. მირიანაშვილი

ქართული ენა 3

მოსწავლის რვეული

პირველი ნაწილი

სახელი _____

გვარი _____

სკოლა _____

სასწავლო წელი _____

სიმღერა მამულზე

1. **დააკვირდი მაგალითს:** <u>მთა-ბარი – მთა და ბარი.</u>
ჩამოთვლილი სიტყვები აქციე ორ სიტყვად:

დედ-მამა ______________________________

მინდორ-ველი ______________________________

ქართლ-კახეთი ______________________________

მტერ-მოყვარე ______________________________

სტუმარ-მასპინძელი ______________________________

2. **გაუსვი ქვეშ ხაზი სიტყვებს, რომლებშიც არის სიტყვა** <u>მამული</u>:
მშობლიური, უმამულო, დედაქალაქი, სამამულო,
დედულ-მამული, გულთმისანი, მამულიშვილი.

3. **გადაწერე ტექსტი:**

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?!
ერი – გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა.
შავთა დროთ ვერა შეცვალეს მის გული ანდამატისა,
ისევ მხნე, ისევ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა.

მალე სექტემბერი დადგება

1. ნახირი – მენახირე. ამ მაგალითის მიხედვით შეადგინე ახალი სიტყვები და მიუწერე ჩამოთვლილ სიტყვებს:

ძროხა _____ ცხვარი _____

ღორი _____ ბატი _____

2. რა რა არის? შეაერთე ხაზებით:

ყავარჯენი	მოქნილი წვრილი ჯოხი.
წკეპლა	თავმომრგვალებული ჯოხი.
სახრე	სიარულის დროს საბჯენი ჯოხი.
კომბალი	საქონლის გასარეკი ჯოხი.

3. დაასრულე წინადადებები. ჩასვი საჭირო ფორმით სიტყვა ხტომა ისე, რომ იგი გამოხატავდეს შესაბამის მიმართულებას.
მაგალითად: კატა ტახტიდან ჩამოხტა.

1. ბიჭი შოხს
2. ძაღლი მდინახეში
3. მაიმუნი ხიდან ძიხს
4. კატა მაგიდაზე

ფეფოს ახალწლისა

1. **რომელი გამონათქვამი რას ნიშნავს? შეაერთე ხაზებით:**

ის დღე იყო და ის დღე	ძალიან, მეტისმეტად დაემსგავსა
პირდაპირ გულს უკლავდა	ცუდი რამ შეემთხვევა
გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა	აწუხებდა
წუთისოფელი მახეს დაუგებს	იმ დღის შემდეგ სულ

2. **დააკვირდი მაგალითს:**

ბავშვებს მიჰქონდათ <u>თავიანთი</u> ჩანთები. ფეფოს მიჰქონდა <u>თავისი</u> ჩანთა.

ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

ფეფომ ამოიღო _____ წიგნი.

ბავშვებმა ამოალაგეს _____ წიგნები.

ფეფომ გასწია _____ სახლისაკენ.

მეგობრებმა გასწიეს _____ სახლებისაკენ.

3. **გადაწერე ტექსტი:**

ძველად თვეს იმის მიხედვით ახქმევდნენ სახელს, თუ ხა იყო მისთვის დამახასიათებელი.

სექტემბერს ახალწლისა იმიტომ ეხქვა, ხომ ძველად ახალი წელი სექტემბრიდან იწყებოდა.

შორიდან მოსული მოწაფე

1. **გაიხსენე „შორიდან მოსული მოწაფე“. შეაერთე ხაზებით და შეადგინე წინადადებები:**

მასწავლებელმა ბავშვებს ასწავლა	ქვეყნის გაძღოლა.
ადიდებულმა მდინარემ ბიჭს ასწავლა	ავის და კარგის გარჩევა.
მშობელმა ხალხმა ბიჭს მიანდო	უფრო დიდი ცოდნის შეძენა.
მასწავლებელმა ბიჭს უწინასწარმეტყველა	შიშის დაძლევა.

2. **ჩამონათვალიდან** – გადმოვარდა, გადმოცვივდა, გააგდო, გაყარა – **შეარჩიე სიტყვები და ჩასვი შესაბამის წინადადებაში:**

მამამ ძაღლი ეზოში _____

ბებომ ბავშვები სამზარეულოდან _____

მაგიდიდან ლარნაკი _____

მერხიდან წიგნები _____

3. **დაწერე თემა: სკოლისაკენ.**
თემაში ისაუბრე: როდის ამზადებ სკოლაში წასაღებ ნივთებს; ვინმეს მიჰყავხარ სკოლაში, თუ მარტო დადიხარ; როგორ მიდიხარ სკოლამდე; ვინ გხვდება საკლასო ოთახში; როგორ ემზადები გაკვეთილის დაწყებისათვის.

ხელის ჩუქურთმა

1. **რომელი სიტყვა რომელ ასოზე იწყება? მიუწერე ასოს სახელები:**

ტყე	ტარ	მინდორი	_____	ნიავი	_____
ჯეჯილი	_____	ჰამაკი	_____	ჭურჭელი	_____
ხანჯალი	_____	ზარი	_____	რვეული	_____

2. **ქვეშ ხაზი გაუსვი** ბან-ზე, წილ-ზე და ლას-ზე **დაწყებულ სიტყვებს:**

გალია,	კედელი,	ბურთი,	წვიმა,	გემი,	დათვი,	ლიმონი,
წერილი,	ვაშლი,	თოფი,	მაიმუნი,	ლექსი,	ბუდე,	რკო,
კურდღელი,	ბიჭი,	წელი,	ლობიო,	სარკე,	ლარნაკი,	ცა.

3. **თითო-თითო ხაზზე დაწერე:**
ან-ზე **დაწყებული ცხოველი, ფრინველი, ხილი, ადამიანის სახელი;**
ვინ-ზე **დაწყებული ცხოველი, ყვავილი, ხილი, ადამიანის სახელი;**
ქან-ზე **დაწყებული ჭურჭელი.**

გიმნაზიაში

1. **შეუწყვე სიტყვებს შესაბამისი პირის ნაცვალსახელები:**

_____ კითხულობს.	_____ ვთამაშობ.
_____ წერ.	_____ იცინი.
_____ ვვარჯიშობ.	_____ ამბობს.

2. **გაიხსენე, რომელი სიტყვა როგორ იწერება. გადახაზე არასწორი ფორმები:**

მე ვოცნებობ,	მე უთხარი,	შენ ოცნებობ,	მე ურჩიე,
მე ვუთხარი,	შენ ურჩიე,	მე ვუპასუხე,	შენ უპასუხე,
შენ უთხარი,	მე ვურჩიე,	მე უპასუხე,	მე ვუამბე

3. **დააკვირდი ნაცვალსახელებს და დაასრულე წინადადებები:**

1. დღეს მე სტუმრად
2. შენ ზღაპარს
3. ის ძალიან დამაზად
4. ჩვენ ფეხბურთს
5. თქვენ საღამოს ფილმს
6. ისინი სკოლაში ერთად

პატარა მოგონებები დიდი მწერლის შესახებ

1. რა რას ნიშნავს? შეაერთე ხაზებით:

ფეხად შემასწრო	ავტორის ხელით ნაწერი
შეგირდი	ის-ის იყო შევიდა
რელიკვია	მოსწავლე
ხელნაწერი	ძველი მნიშვნელოვანი ნივთი

2. დაასრულე წინადადებები, სიტყვა ფრენა **ჩასვი შესაბამისი ფორმით:**

ჩიტი იქით მიფრინავს _____ ჩიტი ზევით _____

ჩიტი აქეთ _____ ჩიტი ქვევით _____

ჩიტი იქით და აქეთ _____ ჩიტი აქედან იქით _____

3. მოცემული წინადადებები გადაიყვანე მესამე პირში; დაწერე ამბავი აკაკის შესახებ:

სწავლა რომ გათავდა, შეგვასვენეს. შევირბინე შინ, ჩავიდე ახალუხის ჯიბეში ცხელი მჭადის კოკორი და მივაშურე კლასს. მასწავლებელმა ფეხად შემასწრო, მივედი და გავჩერდი.

მატარებელი

1. **მოცემული სიტყვებიდან შეარჩიე შესაფერისი სიტყვა და დაასრულე წინადადებები:** დაქრის, დარბის, დადის.

ეს ფეხბურთელი ყველაზე კარგად _____

ნინო ყოველ დილით სკოლაში ამ გზით _____

შენი მანქანა ძალიან სწრაფად _____

2. **გაიხსენე რომელი სიტყვა როგორ იწერება. სწორ ფორმებს ქვეშ ხაზი გაუსვი:**

უკანუკან	უკან უკან	უკან-უკან
ღობე-ღობე	ღობეღობე	ღობე ღობე
ეზოეზო	ეზო-ეზო	ეზო ეზო

3. **ჩამონათვალში მოძებნე საჭირო სიტყვა, ორსიტყვიანი წინადადებები აქციე სამსიტყვიანებად და ქვეშ მიუწერე:**

ბაღი, ფეხბურთი, შხაპუნა, წიგნი, სწრაფად, ეზო.

1. ბიჭი თამაშობს.
2. გოგონა კითხულობს.
3. წვიმა მოდის.
4. ჭადარი დგას.
5. ვახდი გაიშალა.
6. მატარებელი მიქრის.

დედა წერტილი და შვილი წერტილი

1. **დააწყვილე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. შეაერთე ხაზებით:**

დიდი	ვიწრო
განიერი	პატარა
თხელი	დაბალი
მაღალი	მსხვილი
წვრილი	სქელი

2. **ყოველი წინადადების ბოლოს დასვი წერტილი:**

იყო ერთი ფანქარი ფანქარს ძალიან უყვარდა ათასნაირი ხვეულების ხატვა ერთხელ ფანქარმა დედა წერტილი და შვილი წერტილი დახატა პირველ ხანებში წერტილები თავს მშვენივრად გრძნობდნენ

3. **დაწერე თემა:** ეს მე ვარ.

შენ შესახებ დაწერე 4-5 წინადადება. ყოველი წინადადების ბოლოს დასვი წერტილი.

სასვენი ნიშნები

1. **დააკვირდი მაგალითს:** დედა და მამა – დედ-მამა. **ორი სიტყვა აქციე ერთ სიტყვად და ჩამოწერე:**

ტყე და ველი _____ ცოდვა და მადლი _____

ტყვია და წამალი _____ თოვლი და ჭყაპი _____

თავი და პირი_____ ბედი და იღბალი _____

2. **ერთი ხაზი გაუსვი სიტყვებს, რომლებსაც დაესმის კითხვა** <u>რომელი</u>**, ორი ხაზი გაუსვი სიტყვებს, რომლებსაც დაესმის კითხვა** <u>როგორი</u>**:**

გიორგის სოფელში ძველებური სახლი ედგა.
ჩემი უფროსი ძმა უნივერსიტეტში სწავლობს.
ბატონ დიმიტრის შავი ჩოხა აცვია.
შენი წიგნი მესამე თაროზე შევდე.

3. **დასვი შესაბამისი სასვენი ნიშნები და გადაწერე ტექსტი:**

ყოფილხარ ტყეში ტყეს როცა ნახავ აღტაცებით წამოიძახებ – რა მშვენიერია ტყეში ათასნაირი ცხოველი ბინადრობს მელია მგელი კვერნა ციყვი ირემი შველი და სხვ.

პეპის პირველი წერილი

1. გაითვალისწინე, ვინ ვის ელაპარაკება. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

– გამარჯობა, გიგლა!
– გამარჯობა, ბატონო დიმიტრი, მობრძანდით. როგორ _____ ?
– კარგად, _____ როგორ ხარ?
– გმადლობთ, კარგად. მამა შინ არ არის.

2. დაალაგე არეული ტექსტი, უჯრებში ჩაწერე რიგითი ნომრები:

☐ კურდღელმა იფიქრა, ამას როგორ ვერ მივასწრებ წყაროსთან მისვლასო, ამიტომ არ აჩქარდა, ბოსტანში გადავიდა და სტაფილო მიირთვა.
☐ ერთხელ კუ და კურდღელი ერთმანეთს შეეჯიბრნენ, ვინ უფრო სწრაფად მივიდოდა წყაროსთან.
☐ წყაროსთან რომ მივიდა, რას ხედავს, კუ უკვე მისულა და ელოდება.

3. დაწერე თემა: ჩემი მეგობრის პორტრეტი.
გაიხსენე რა არის პორტრეტი. 3-4 წინადადებით აღწერე შენი მეგობარი.

დამოუკიდებლად საკითხავი

1

ჩემი თავგადასავალი

ზემო იმერეთში ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. აქ ავიდგი ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედან იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგას ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრო, მხოლოდ ორი საკვამურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და, სამაგიეროდ, სინათლე შემოდიოდა.

გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ. ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად სწავლობს. ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვა.

პატარებს უყვართ დიდების მიბაძვა და, მეც ხუხულა სახლებს, სასიმინდესა და წისქვილებს რომ ავაშენებდი ხოლმე, ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

ქართველებს ურიცხვი და უთვალავი თამაშები გვაქვს. ერთი მათგანი კი სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში. ეს არის „ქორობია“. ერთი კრუხობას იკისრებდა, სხვები წიწილები ვიყავით. გავაკეთებდით წრეს, ჩავაბამდით ფერხულს და ვტრიალებდით. ქორი მოდიოდა წიწილების მოსატაცებლად, კრუხი იგერიებდა. ქორი ხან ერთი კუთხიდან, ხან მეორე კუთხიდან მოვარდებოდა, გაჰგლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წიწილას.

მეცოდებოდა კრუხი და ეს თამაში არ მიყვარდა, თუმცა ყოველდღე სხვადასხვა თამაშს ამით ვაბოლოებდით ხოლმე. ერთხელ სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენილობა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: რა იყო, ქორობია ხომ არ გითამაშიათო?

– ვითამაშეთ და ქორმა მე გამიტაცა-მეთქი – ვუპასუხე. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე:

– რა გატირებს-მეთქი?

– ის მატირებს, რომ ხვალ ჩემს წიწილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენო!..

მე თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ მივხვდი, რომ აქ კარგი არა არის-მეთქი. მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე. სამუდამოდ გამომათხოვეს სოფელ სავანეს და წამიყვანეს მშობლებთან სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო.

რვა წლისა ვიყავი, როდესაც სოფელს მომაშორეს. მალე სასახლეც დამატოვებინეს და ქუთაისში გადამიყვანეს. მიმაბარეს ქუთაისის გიმნაზიაში.

აკაკი წერეთელი

უპასუხე მოცემულ კითხვებს და ჩაწერე პასუხები:

რა ჰქვია იმ ნაწარმოებს, რომლის ერთი მონაკვეთიც წაიკითხე?

ვინ არის მისი ავტორი?

ვინ არის ამ ნაწარმოების მოქმედი პირი?

სად იზრდებოდა პატარა აკაკი?

რა იცოდა ხუთი-ექვსი წლის აკაკიმ?

რომელ თამაშს იხსენებს აკაკი?

გაიხსენე ერთი ამბავი შენი თავგადასავლიდან:

2

მეჩონგურე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი მზეთუნახავი ქალიშვილი. მამამ გამოაცხადა, ჩემს მზეთუნახავს იმას მივათხოვებ, ვინც უკვდავების ვაშლს მომიტანსო. მიდიოდნენ საქმროები უკვდავების ვაშლის მოსატანად, მაგრამ უკან ვეღარ ბრუნდებოდნენ.

იმ სახელმწიფოში ერთი სახელგანთქმული მეჩონგურე ცხოვრობდა. ხელმწიფის მზეთუნახავი ასული იმასაც გულში ჩავარდნოდა. წავიდა ხელმწიფესთან და თავისი სურვილი გაუმჟღავნა. ხელმწიფე ჯერ განრისხდა, ამ გლახაკმა ქალის თხოვნა როგორ გამიბედაო, მაგრამ სხვების მსგავსად, ისიც უკვდავების ვაშლის მოსატანად გაგზავნა.

მეჩონგურემ აიღო თავისი ჩონგური და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთი სალი კლდის გალავანს მიადგა. ეს გალავანი სწორედ უკვდავების ვაშლის ბაღს ერტყა გარშემო და ისეთი მაღალი იყო, ქორიც ვერ გადაფრინდებოდა.

შემოუარა მეჩონგურემ გალავანს ირგვლივ, მაგრამ კარი ვერსად უპოვა. ბოლოს ჩამოჯდა, ჩონგური დაუკრა და ზედ ტკბილი სიმღერა დაამღერა. მთელი მთა-ბარი სმენად იქცა, ხეებმა ფოთლის შარიშური შეწყვიტეს, წყაროები გაჩერდნენ. ყველანი სიმღერის ჯადოსნური ჰანგით ტკბებოდნენ. სიმღერამ ბოლოს ქვის ყრუ კედელსაც სიცოცხლე მიანიჭა: იგი ერთ ადგილას თავისით გადაიხსნა და მეჩონგურეს უკვდავების ვაშლისაკენ გზა მისცა.

შევიდა მეჩონგურე გალავანში და გაჰყვა ვარდ-ყვავილებით მოფენილ გზას. ბაღის მცველმა პირცეცხლიანმა გველეშაპმა ადამიანის სუნი იყნოსა, დააღო პირი და შესაჭმელად გამოქანდა. მეჩონგურემ იფიქრა: „მოდი, სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ დავუკრავ ჩემს ჩონგურს და რაც მომივა, მომივიდესო“. ჩამოჰკრა სიმებს და სიმღერაც დაამღერა. პირდაღებული გველეშაპი შედგა, აწეული კლანჭი ძირს დაუშვა და თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდა. მეჩონგურემ დაასრულა სიმღერა. დადგა გველეშაპის წინ თავდახრილი და ბედისწერას მორჩილად დაელოდა.

– ნუ გეშინია, – უთხრა გველეშაპმა მეჩონგურეს, – მე შენ აღარას გერჩი. ჩემს სიცოცხლეში ასეთი ხმა არ მსმენია და არც ასე ძლიერად დავმტკბარვარ. აჰა, წაიღე ეს ვაშლი და ეწიე გულის საწადელს. დღეის შემდეგ კაცთა მოდგმას აღარაფერს დავუშავებო.

მიუტანა მეჩონგურემ ხელმწიფეს უკვდავების ვაშლი და უთხრა:

– დიდო ხელმწიფევ, მე ჩემი მოვალეობა შევასრულე და ახლა კი თქვენ იცითო.

ხელმწიფე, რა თქმა უნდა, პირობას ვერ დაარღვევდა, გამოიყვანა თავისი მზეთუნახავი ქალი და მეჩონგურეს ჩააბარა.

გაეცი პასუხი მოცემულ კითხვებს და ჩაწერე:

1. როგორ იწყება ეს ტექსტი?

2. რაზე მიგვანიშნებს ეს დასაწყისი?

3. რა მოსთხოვა ხელმწიფემ მზეთუნახავი ქალის საქმროებს?

4. რატომ ჩაიგდო მეჩონგურემ თავი განსაცდელში?

5. რატომ გაიხსნა სალი კლდე?

6. რამ მოულბო გული გველეშაპს?

ამოწერე მოთხრობიდან:
როგორ ტკბებოდა ბუნება მეჩონგურის სიმღერით?